საბჭო

შემადგენლობა და უფლებამოსილება

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით, იქმნება საბჭო. საბჭოს წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა ხორციელდება სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შექმნილი საბჭოს აპარატის მეშვეობით.

შემადგენლობა და უფლებამოსილება

საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სამი წლით. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 7 წევრით. საბჭოს წევრს შეიძლება უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ან:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;
გ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობის გამო, თუ სასამართლოს მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) ექვსი თვის განმავლობაში სხდომებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში;
ე) სამინისტროს წარდგინების საფუძველზე.

ზეპირი მოსმენის საფუძველზე საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ;
ბ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;
გ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების გაუქმების შესახებ.

საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით. საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. საბჭო ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე.